

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-01/4437
23/04/2018

4437-2-01-2-201804231855



აიიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“
დირექტორს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა #27, ბინა #1
მობ: 599 786561
ელ ფოსტა: info@factchek.ge

ბატონო პაატა,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში 2018 წლის 5 აპრილს შემოვიდა თქვენი წერილი N 5758/2 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით.

აღნიშნული წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შემდეგ მონაკვეთებზე:

- E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი კმ0+000-კმ5+800 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი I);
- E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი კმ5+800-კმ14+050 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი II);
- სამტრედია გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ11+500-კმ30+000 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი II);
- სამტრედია გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ30+000-კმ42+000 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი III);
- სამტრედია გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ42+000-კმ51+570 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი IV);
- ქობულეთის შემოვლითი გზის კმ12+400- კმ31+259 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი II).
- ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 190 კმ-ზე საგზაო სამოსის მოწყობა დასრულებულია. მოძრაობა გახსნილია 167 კმ-ზე;
- ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სახელმეკრულებო გეგმის შესაბამისად;
- ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სამშენებლო სამუშაოებზე დასრულების სახელმეკრულებო ვადები არ არის დარღვეული;
- კომპანია „სინოჰიდრო“ - მ განახორციელა თბილისის-სენაკი-ლესელიძის ს/გზის (კმ143) რიკოთის საუღელტეხილო გვირაბის რეაბილიტაცია და ქობულეთის შემოვლითი გზის კმ0+000-კმ12+400 მონაკვეთის მშენებლობა და არსებული 2 ზოლიანი გზის გაგანიერება 4 ზოლიანამდე, ჩაქვი - მახინჯაური კმ30+000-კმ33+000 მონაკვეთის (ლოტი I) სამშენებლო სამუშაოები;

ასევე გაცნობებთ, რომ ამჟამად საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შემდეგ მონაკვეთებზე:

- რუსთავი წითელი ხიდისა და რუსთავი-სადახლოს საავტომობილო გზების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- ჩუმათელეთი-ხევის (F1) საავტომობილო გზის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას (F-2; F-3; F-4) საავტომობილო გზის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- ბათუმის შემოსავლელი - სარფის საავტომობილო გზის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- თბილისის შემოსავლელი და ნატახტარი-ჟინვალის საავტომობილო გზების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- თბილისი-ბაკურციხე, წნორი-ლაგოდეხის საავტომობილო გზების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და თბილისი-საგარეჯო, საგარეჯო-ბაკურციხის საავტომობილო გზების დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- ბაკურციხე-წნორის და გურჯაანი (ჩუმლაყი)-თელავის შემოსავლელი საავტომობილო გზების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და კონცეპტუალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- ფოთი-გრიგოლეთის მონაკვეთის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- სამტრედია-ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება.
- კომპანია სინოჰიდრო ამ დროისთვის ახორციელებს E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიური-ჩუმათელეთი კმ0+000-კმ5+800 მონაკვეთის (ლოტი I; სახელშეკრულებო ღირებულება -133,530,690.63 მლნ.ლარი; სახელშეკრულებო ვადები - 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრამდე), სამტრედია გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ11+500-კმ30+000 მონაკვეთის (ლოტი II; სახელშეკრულებო ღირებულება - 253,979,678.24 მლნ. ლარი; სახელშეკრულებო ვადები - 2016 წლის მარტიდან 2018 წლის სექტემბრამდე) და ქობულეთის შემოვლითი გზის კმ12+400- კმ31+259 მონაკვეთის (ლოტი II; სახელშეკრულებო ღირებულება - 209,852,079.66 მლნ. ლარი; სახელშეკრულებო ვადები - 2013 წლის მაისიდან 2018 წლის ივლისამდე) სამშენებლო სამუშაოებს;
- სამშენებლო კომპანია შპს „ალტკომი“ ახორციელებდა სამტრედია გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ0+000-კმ11+500 (ლოტი I) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებს. კონტრაქტორი კომპანიის მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო კონტრაქტი შეწყდა; კონტრაქტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 153,498,019.53 მლნ. ლარს.

ასევე მოგახსენებთ, რომ დეპარტამენტსა და უკრაინულ კომპანიას „Road Building ALTCOM“ LLC-ს (შემდგომში - კონტრაქტორი) შორის 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული EWHG/CW/ICB-01 ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) ფარგლებში კონტრაქტორი ახორციელებდა სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის

მონაკვეთის ლოტი I, კმ0+000-კმ 11+500 მშენებლობას. მინიჭებული ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 153 498 019.53 (ას ორმოცდაცამეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდათვრამეტი ათას ცხრამეტი ლარი და ორმოცდაცამეტი თეთრი) ლარს.

ხელშეკრულების ფარგლებში კონტრაქტორმა ავანსის სახით მიიღო ჯამში 19 891 760.73 (ცხრამეტი მილიონ რვაას ოთხმოცდათერთმეტი ათას შვიდას სამოცი ლარი და სამოცდაცამეტი თეთრი) ევრო, საიდანაც შესრულებული სამუშაოების ფარგლებში აღდგენილი ავანსის მოცულობა შეადგენს 1 502 850.22 (ერთი მილიონ ხუთას ორი ათას რვაას ორმოცდაათი ლარი და ოცდაორი თეთრი) ევროს. ამჟამად მიმდინარეობს დაუქვითავი ავანსის თანხების ამოღების მიზნით საავანსო გარანტიის ამოქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურები.

მოცემულ ეტაპზე ხელშეკრულება შეწყვეტილია ცალმხრივად დეპარტამენტის მიერ, ვინაიდან კონტრაქტორის მიერ ჯეროვნად არ შესრულდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

პატივისცემით,

დეა ქვრივიშვილი



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული სამსახური